



ახალი დენათემა

07-12.05.2020

№16 (890) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ახალი პროექტი აბიტურიენტებისთვის



საქართველოს განათლების, მეცნიერების, ჯერჯიბისა და სპორტის სამინისტრომ აბიტურიენტებისთვის დაიწყო ახალი პროექტი „ვებსკოლა“, რომელიც 4 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით გაგხდებდება. ვებინარებზე დაეგისტრირების მსუხველთათვის, ვებგვერდზე <https://el.ge/>, ვებინარების ბლოგში, განთავსებულია რეგისტრაციის მარტივი ფორმა.

⇒ პანდემიის პირობებში, დისტანციური სწავლებისა და „ტელესკოლის“ დანერგვის შემდეგ, ახალი პროექტი აბიტურიენტებს ეხმარება გამოცდებისთვის მომზადებაში გაეწეოს დახმარება.

⇒ პროექტის ფარგლებში, პრაქტიკული მასწავლებლები აბიტურიენტებისთვის ჩატარებენ ვებინარებს, რომლებიც პრაქტიკულად <https://el.ge/>-ზე ატარდება. ვებინარების განხილვის ყოველკვირეულად განახლება და ეტაპობრივად ყველა საგანს მოიცავს.

⇒ თითოეული ვებინარის ადგილობრივი შენახება და ნებისმიერი მსუხველთათვის ხელმისაწვდომი იქნება. გახდა ამისა, მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ღირსეულად დაათქსიონ საკითხები მოსახერხებელი, შეჯიბრებები, სუბილემები და შენიშვნები, ხაც განიხილებს და გათვალისწინებული იქნება შემდგომი ვებინარების დაგეგმვისას.

⇒ ვებინარები შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე <https://el.ge/webinars>.



#ისწავლეთსახლიდან

საბანანათლებლო დანახვების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის რეკომენდაციები მასწავლებლებს

ახალი კორონა ვირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით, საბანანათლებლო დანახვების მანდატურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრის რეკომენდაციები მასწავლებლებს.

მასწავლებლებს უნდა შეეძლოს მათთვის უზრუნველყოფა, აქამდე გამოუცდელი მეთოდებით. ქვეყანაში არ არსებობს ელექტრონულად მუშაობისთვის საჭირო სასწავლო მასალების ერთიანი ბაზა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს პორტალების შექმნა და სხვა ტექნიკური საჭიროებების გამართვა, რასაც პედაგოგი დროულად უნდა აპყვეს, ამასთან ჩართოს მოსწავლეები და მშობლებიც. მასწავლებლების სამუშაო დატვირთვა ბევრად გაიზარდა – უნდა ელექტრონული მასალების მოძიება, ვიდეოგადაცემების ჩანერგვა, დავალების დამზადება, ატვირთვა შესაბამის ვებგვერდებზე; უზრუნველყოფილი საშინაო დავალებების მიღება, შემოწმება, უპასუხობის დაბრუნება. გუნდური, შემთხვევითი მდგომარეობა პედაგოგებშიც იწვევს შფოთვის მომენტებსა და დაძაბულობას.

სსიპ საბანანათლებლო დანახვების მანდატურის სამსახურის ფსიქოსოციალური მომსახურების ცენტრი ცდილობს პედაგოგების მხარდაჭერას და სთავაზობს რეკომენდაციებს, რომლებიც დაეხმარებათ დროის ეფექტურად გადანიშნავასა და ემოციების რეგულაციაში.



1. განაცხადებით სამუშაო და პირადი ცხოვრება

ადვილს, სადაც აქამდე ისვენებდით ხოლმე და თქვენი განტვირთვის სივრცე იყო, ახლა დაემატა ახალი ფუნქცია – იქცა სამუშაო გარემოდ, საკლასო ოთახად. მნიშვნელოვანია, რომ ეს ორი სფერო ერთმანეთისგან გამოიყოს. სამუშაო სივრცის ისე მოწყობა, რომ ყოველდღიურ საქმიანობაში ხელი არ შეგიშალოს და მხოლოდ სამსახურის საქმიანობის გინევედეთ იქ ყოფნა, იდეალური შემთხვევაა. თუმცა, შესაძლებელია საცხოვრებელი გარემო, არ გაძლევდეთ ამის საშუალებას. ასეთ დროს, სასურველია გამოყოფთ ერთი კუთხე, რომელსაც მუშაობის დაწყების წინ მოიწყოთ შესაბამისად და დასრულებისთანავე დააბრუნებთ პირვანდელ მდგომარეობაში. სამსახურის საქმეს დაუთმეთ იგივე დრო, რა დროც გჭირდებათ სამუშაოს შესასრულებლად სკოლაში სიარულისას. ეს ყოველივე დაგეხმარებათ, რომ სამსახურისა და პირადი ცხოვრების საკითხები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მართოთ და ოჯახურ გარემოშიც შეინარჩუნოთ ჩვეული ცხოვრების რიტმი.

2. გაუმკლავდით შინაგან შფოთვას

პედაგოგიური საქმიანობა ისედაც სტრესულია, რასაც უფრო ამძაფრებს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა. ამას ემატება დისტანციური სწავლებასთან დაკავშირებული შფოთვა. თუ თქვენ გრძნობთ სამსახურებრივი საქმიანობის გამო გაღიზიანებას, პირველ რიგში სჭირდება, რომ ეს შფოთვა შემცირდეს, რადგან უკეთ მართოთ პროცესი. ამისათვის შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ: გააცნობიერეთ გაღიზიანების მიზეზი. უმრავლეს შემთხვევაში შფოთვა უკავშირდება ხოლმე მომავალს. ეცადეთ, დარჩეთ აწმყოში და ყურადღების კონცენტრირება მოახდინოთ იმ საჭიროებებზე, რომლებიც ამჟამად გაქვთ. განაგრძეთ საკუთარ თავზე ზრუნვა – საყვარელი საქმიანობების კეთება, იქნება ეს წიგნების კითხვა; ფილმების ყურება; ფიზიკური ვარჯიშები; ხელსაქმე; კულინარია თუ სხვა. შფოთვის შესამცირებლად გამოიყენეთ სუნთქვითი ვარჯიშები. გასხვადეთ, რომ შექმნილ სიტუაციაში დაძაბულობა და შფოთვა ბუნებრივია. იმავეს განიცდიან თქვენი კოლეგებიც, ამიტომ სასურველია, რომ გამოხატოთ, გაუზიაროთ თქვენი ემოციები ერთმანეთს. შფოთვის შემცირების სტრატეგიების გამოყენება თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, დაგეხმარებათ დაზოგოთ საკუთარი ენერჯია და მეტი ხალისით შეასრულოთ სამუშაო.

3. გამოწვევა აქციით შესაძლებლობად

დისტანციურად მუშაობა/სწავლება ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. თუმცა, უკვე გამოიკვეთა, რომ პედაგოგების უმეტესმა ნაწილმა წარმატებით გაართვა თავი არაერთ წინააღმდეგობას. სახლში ყოფნის ეს პერიოდი კარგი შესაძლებლობაა სხვადასხვა პროგრამისა და ზოგადად, ტექნოლოგიების უკეთ შესასწავლად. ეცადეთ, მიაგნოთ აქამდე უცნობ სწავლების მეთოდებსა თუ სასწავლო მასალებს. გამოიყენეთ ეს დრო ახალი პროფესიული უნარების შესაძენად, სკოლაში დაბრუნების შემდეგ კი ეფექტურად განაგრძეთ მათი პრაქტიკაში დანერგვა. როგორც დიდი კარნევი იტყოდა – „თუ ცხოვრება გაძლევს ლიმონს, გააკეთე მისგან ლიმონათი!“

4. შვებულებაში ინფორმაცია მოსწავლეების ტექნიკური რესურსებისა და მათი გამოყენების უნარების შესახებ

დისტანციური სწავლება პირდაპირ უკავშირდება ტექნოლოგიებსა და გამართულ ქსელს. ყველა მოსწავლეს არ აქვს საჭირო რესურსები, კომპიუტერი ან ინტერნეტთან წვდომა. მეორე საკითხია ტექნიკის ფლობის შესაბამისი უნარები. ბუნებრივია, ეს ხარვეზები აისახება მასწავლებლის მუშაობის ეფექტურობაზეც. კარგი იქნება, თუ გექნებათ ინფორმაცია თქვენი მოსწავლეების ტექნიკური უზრუნველყოფისა და მათი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ – რამდენად ახერხებენ ისინი დისტანციურ სწავლებაში ჩართვას, რა უჭირთ, რა უფრო უმარტივდებათ. ეს ინფორმაცია დაგეხმარებათ, სწორად განსაზღვროთ მუშაობის მეთოდი და საშუალება. შესაბამისად, თქვენი შრომაც მეტად შედეგიანი იქნება.

5. დააორგანიზეთ მოპოვებული სამუშაო მასალები

განსაზღვრეთ სასურველი აქტივობები თითოეული კლასისთვის. ჩამოაყალიბეთ კონკრეტული მიზნები, რა გინდათ რომ მიიღოთ თქვენი მუშაობის შედეგად. შეადგინეთ კვირის გეგმები წინასწარ. შეაგროვეთ საჭირო სასწავლო მასალების გარკვეული რაოდენობა, შემდეგ კი გადაანალიზეთ რა თანმიმდევრობით მიიწვევთ ბავშვებს. ეცადეთ, ზუსტად მიყვებოდეთ თქვენ მიერ გაწერილ გეგმას. ასეთი მეთოდით მუშაობა თავიდან აგარიდებთ ზედმეტ შფოთვის და დაგეხმარებათ ეფექტურად მართოთ დისტანციური სწავლების პროცესი.

6. განაგრძეთ ზუსტი დრო

სახლში გამოკეტვის ამ პერიოდში შეცვალა ჩვეული ცხოვრების რიტმი. მნიშვნელოვანია, რომ როგორც ზრდასრულებისთვის, ისე ბავშვებისთვის წინასწარ იყო განწერილი დღის რეჟიმი. ამას კი მშობლებთან ერთად, პედაგოგებმაც უნდა შეუწყონ ხელი. განსაზღვრეთ ზუსტი დრო, თუ რომელ დღეებსა და საათებში აუტვირთავთ ახალ გაკვეთილს ან საშინაო დავალებას თითოეულ კლასს. დავალების მიცემისას მიუთითეთ ჩაბარებისა და უკუკავშირის დაბრუნების ვადებიც. ეცადეთ, მოარგოთ იმ ცხრილს, როგორც სკოლაში გქონდათ განწერილი, რომელ საათზე რომელ კლასში უნდა შესულიყავით. შესაბამისად, ბავშვებისთვისაც შედარებით მარტივი იქნება დავალების ნახვა, ნაკლებად გამოჩნდება რომელიმე აქტივობა და საშინაო დავალებასაც თქვენ მიერ განსაზღვრულ საათებში დაგებრუნებენ. თუ ატარებთ ონლაინ გაკვეთილს, გაითვალისწინეთ პროტოკოლით განწერილი სტანდარტული დრო. ისევე დაიცავით თითოეული გაკვეთილისთვის გამოყოფილი დრო, როგორც ამას სკოლაში აკეთებდით. ეს დაგეხმარებათ როგორც თქვენი დროის ეფექტურად მართვაში, ასევე მოსწავლეების მობილიზებაში.

7. გაააქტივოთ მიღებული შედეგის ანალიზი

გაკვეთილის ჩატარებისას ხშირად ინტუიციურად ხვდებით, თუ რამდენად გასაგებია მოსწავლისთვის ახსნილი მასალა ან რა გაუჭირდა თუ გაუმარტივდა დავალების შესრულებისას. დისტანციური სწავლებისას კი რთულია შეაფასოთ ეს ყოველივე. არადა, მნიშვნელოვანია, იცოდეთ რამდენად ეფექტურად მუშაობს თქვენი მიერ შერჩეული კონკრეტული აქტივობები. ამისთვის, ყოველი დავალების ჩაბარების შემდეგ, გააკეთეთ ანალიზი რას ელოდით და რა მიიღეთ – რამდენად დაინტერესდა კლასი, რამდენმა ბავშვმა შეასრულა დავალება, რამდენმა გაართვა თავი წარმატებით, რამდენს გაუჭირდა, ვინც ვერ შეასრულა, რა იყო მიზეზი და ა.შ. ეს დაგეხმარებათ სწორად და ზუსტად შეარჩიოთ მასალა კონკრეტული კლასისთვის. შესაბამისად, კლასის ჩართულობაც უფრო მაღალი იქნება და თქვენი მუშაობის ეფექტურობაც. თანდათანობით შეამცირეთ ყოველდღიური ანალიზი და გადადით ყოველკვირეულზე.

8. ჩართეთ მშობლები

სწავლების პროცესში მშობელთა ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. განსაკუთრებით აუცილებელია მშობელთა მხარდაჭერა დისტანციური სწავლებისას. პირველ რიგში, მშობლის ჩართულობა შეიძლება დაგეხმარდეს დროის, სივრცისა თუ ტექნიკის უზრუნველყოფის მიზნით. ზოგიერთი ბავშვისთვის რთულია, ნებაყოფლობით უარი თქვას თამაშსა და გართობაზე და შეასრულოს დავალებები. ამ საკითხის რეგულაციაში დიდი როლი ენიჭება მშობელს. ჩართეთ ისინიც სასწავლო პროცესში, დაამატეთ ჯგუფებში, სადაც ხდება დავალებების გაცემა ან შექმენით ცალკე მშობლების ჯგუფი, სადაც მიიწვევთ ხოლმე ინფორმაციას მიმდინარე აქტივობების შესახებ. ასე, ისინი უკეთ შეძლებენ აკონტროლონ ბავშვების სასწავლო პროცესში ჩართულობა, საშუალება ექნებათ, დააკვირდნენ და მეტად შეიცნონ შვილების უნარები და საჭიროებები.

9. გაითვალისწინეთ მოსწავლეების ასაკი

მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში ჩართვა ყოველთვის არ არის მარტივი. ამას კიდევ უფრო ართულებს დისტან-

ციური სწავლება. მნიშვნელოვანია აქტივობების სწორად შერჩევა თითოეული კლასისთვის. შექმნილ სიტუაციაში დისტანციური სწავლების არსი და მიზანი არის მოსწავლეთა დახმარება, რომ არ მოდუნდნენ და არ დაივიწყონ გავლილი მასალა. შესაბამისად, გაკვეთილები თუ შესასრულებელი დავალებები თითოეული კლასისთვის ისე შეარჩიეთ, რომ არც რთული იყოს და არც ზედმეტად მარტივი. სირთულე მოსწავლეებს შეაშინებს, გამოიწვევს შფოთვისა და დაძაბულობას. მარტივ საგარჯიმოებს კი, შესაძლოა, არასერიოზულად მიევიციდონ ან იუკადრისონ შესრულება. მასალის შერჩევისას უპირატესობა მიანიჭეთ მოსწავლეთა ასაკსა და ინტერესებს, ვიდრე აქამდე განერილ პროგრამასა თუ სილაბუსებს; დავალებებს კი მიეცით შემცენებით-სახალისო ფორმა. სასურველია, შეარჩიოთ ისეთი დავალებები, რომლებიც კომპიუტერსა და ინტერნეტს ნაკლებად საჭიროებს. ამით შეძლებთ მოსწავლეების ეკრანებისგან გარიდებასა და წიგნებთან/რეგულბთან კონტაქტის შენარჩუნებას. ამასთან, დაგეხმარებათ ისეთი ბავშვების სასწავლო პროცესში მასიმიმალურად ჩართულობაში, რომელთა ოჯახებშიც, რამდენიმე ბავშვია და ტექნიკური საშუალებების რესურსი არ ჰყოფნით.

10. განსაზღვრეთ საშინაო დავალების ჩაბარების ფორმა

დისტანციური გაკვეთილის ჩატარების ფორმის შერჩევა ხდება თითოეული მოსწავლელისა და კლასის არსებული რესურსების გათვალისწინებით. ეს შეიძლება იყოს სხვადასხვანაირი – ონლაინ გაკვეთილი, წინასწარ ჩანერგილი ვიდეოგაკვეთილი, უბრალოდ ინსტრუქციების მიცემა თუ სხვა. მაგრამ, მნიშვნელოვანია, რომ დავალების ჩაბარებას ჰქონდეს ერთი სტანდარტული ფორმა. აუცილებელია, შესრულებულ დავალებასთან წვდომა ჰქონდეს მხოლოდ კონკრეტულ პედაგოგს და არავითარ შემთხვევაში სხვა მოსწავლესაც ან მშობლებსაც. ამისათვის, წინასწარ მიიწვიეთ ინფორმაცია, რომ დავალებას ჩაიბარებთ მხოლოდ პირად მიმონერაში ან ელ. ფოსტაზე გაგზავნით. შესაბამისად, უკუკავშირც დაუბრუნეთ მხოლოდ ინდივიდუალურად. გამოიცხეთ, კომენტარის სახით ან ჯგუფში ატვირთვის ფორმად. ასე შეძლებთ, თავიდან აირიდოთ სიმორცხვის ან დაცინვის შიშით გამოწვეული დაძაბულობა მოსწავლეებში, ამყოფოთ ისინი თანაბარ პირობებში და დაიცვათ თითოეული მათგანის უფლებები.

11. დაიცავით კონფიდენციალურობა

დღესდღეობით მსოფლიოში მწვავედ დგას ინტერნეტუ-ლინგვის საკითხი. დისტანციური სწავლება კი, ზრდის ინტერნეტუ-ლინგვის რისკებს. ახალ პროგრამებში რეგისტრაციასა და ჯგუფებში გაწევრიანებაში დახმარების მიზნით მოსწავლეები და მასწავლებლებიც ცვლიან პაროლებს. არის შემთხვევები, როცა პედაგოგი თავად გაანდობს რომელიმე მოსწავლეს საკუთარ პაროლს, ტექნიკასთან ურთიერთობაში დახმარების მიზნით. ადვილად ხელმისაწვდომი ხდება პირადი ინფორმაცია. ბავშვებს ხშირად აქვთ შექმნილი ჯგუფები, სადაც შესაძლოა ეს პირადი ინფორმაცია არაკეთილი მიზნებით გავრცელდეს. ჯგუფებში ატვირთული დავალებებიც ზრდის ბულინგის საფრთხევებს. ამიტომ აუცილებელია, იზრუნოთ როგორც პირად, ისე მოსწავლეთა კეთილდღეობაზე. როგორც არ უნდა ენდობოდეთ კონკრეტულ მოსწავლეს, მოთხოვით ბავშვებს საჯაროდ ატვირთონ შესრულებული ნერილობითი თუ ვიდეო დავალებები. სოციალურ ქსელებში ონლაინ ჩართვების ამსახველი არაერთი ფოტო გავრცელდა. ძალიან კარგია, წარმატების სხვებისთვის გაზიარება, მაგრამ აუცილებელია კონფიდენციალურობის დაცვა. გაითვალისწინეთ და ასწავლეთ ბავშვებსაც, ფოტოს გადაღებასა და სოც. ქსელებში გაზიარებისთვის საჭიროა ყველა ჩართული პირის თანხმობა.

ვირტუალური ოლიმპიადა

ქართული გოგონების „მათემატიკური სვლები“ – EGMO 2020

მსოფლიო პანდემიის პირობებში, წელს, მოსწავლე გოგონათა შორის ევროპის მათემატიკური ოლიმპიადა ვირტუალურ რეჟიმში ჩატარდა და EGMO 2020-ში 52 ქვეყნიდან 204 საუკეთესო მოსწავლე ჩაერთო. საქართველოს ნაკრები, შესარჩევი ეტაპების შედეგად დაკომპლექტდა ვლადიმერ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის №199 საჯარო სკოლის ოთხი მოსწავლე გოგონასგან და ჩვენმა გუნდმა ოლიმპიადაზე თავი ღირსეულად წარმოადგინა. პირველად, ნაკრების ოთხივე წევრმა მედალი მოიპოვა: ანა ონოფრიშვილი – ოქროს მედალი; თამარ კორკოტაშვილი – ვერცხლის მედალი; მარია ივარდავა – ბრინჯაოს მედალი; მარია ცხველიანი – ბრინჯაოს მედალი. ჩვენმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაშიც საკმაოდ კარგად წარმოადგინა თავი და, გულბარათთან ერთად, IX-X ადგილი გაიყო.

ოლიმპიად გოგონათა ნაკრების ლიდერი ივანე გომეზაძე, ხოლო თანაღმადმკურანე – დიმიტრი არაბიძე და სება ლეფსვირიძე.

წლებანდელი ნაკრების ერთ-ერთი წევრი მარია ივარდავა ავტობიოგრაფიას, რომ მოუთმენლად ელოდნენ ჰოლანდიური ბაზმზავრებას, ვირტუალურ ოლიმპიადაში მონაწილეობისას განწყობაც ისეთი ამაღლებული არ იყო, როგორც უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს წარმატება მინც ქალიან ბავშვს ნიშნავს თითოეული მათგანისთვის, მით უმეტეს სასწრაფოდაც ასეთ რთულ სიტუაცი- აში მედლებს მოპოვება. თუმცა, მარიაში ავტობიოგრაფიას, რომ წელს ცოტა იმედგაცრუებულა, რად- გან, შარხანდელთან შედარებით, წელს შედეგი გააუარესა – შარხან ვერცხლი და წელს ბრინჯაო აიღო – მაგრამ, რადგან წინ კიდევ ერთი წე- ლი აქვს (მეთერთმეტე კლასში), პირობას დებს, რომ მომავალ წელს შედეგს აუცილებლად გააუმჯობესებს – გაისად მასპინძელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით და ოლიმპიადა ქუთაისში გაიმართება.

როგორ აიღო გოგონათა ოლიმპიადამ სტარტი, როდის ჩაერთო საქართველოს გოგონათა ნაკრები ოლიმპიურ მართონში და როგორ წარიმარ- თა წლებანდელი ვირტუალური ოლიმპიადა, ამის შესახებ გვესაუბრება ნაკრების ლიდერი ივანე გომეზაძე.



მათემატიკური ოლიმპიადების სტარტი

ზოგადად, მათემატიკური ოლიმპიადების ისტორია სათა- ვეს, დაახლოებით, მე-19 საუკუნის ბოლოდან იღებს. სწორედ ამ დროს უკავშირდება, რუმინეთსა და უნგრეთში, პირველი მათემატიკური ოლიმპიადების გამართვა სკოლის მოსწავ- ლეებს შორის. შემდეგ ეს ოლიმპიადები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ აიტაცა, რადგან მსგავსი შეჯიბრი კარგი ნა- მახალისებელი და მასტიმულირებელი აქტივობა აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის. ამის შემდეგ, საერთაშორისო მათემა- ტიკური ოლიმპიადა (IMO), პირველად, 1959 წელს, ბუქარესტში ჩატარდა და მონაწილეობა სულ 7-მა ქვეყანამ მიიღო, ძირითადად, სოციალისტურმა ქვეყნებმა. ამის შემდეგ, სა- ერთაშორისო მათემატიკურმა ოლიმპიადამ ყოველწლიური ხასიათი მიიღო და წელს უკვე 100-ზე მეტი ქვეყანა მონაწი- ლეობს. თითოეული ქვეყნის ნაკრები ექვსი მოსწავლისა და ორი მწვრთნელისგან შედგება. მოსწავლეების ასაკზე კი შეზღუდვა არ არის, ნაკრების შესარჩევ ეტაპზე შეიძლება ჩაერთოს, პირობითად, მეშვიდეკლასელიც და მეცხრეკლას- სელიც. რაც შეეხება დავალებებს, მიუხედავად იმისა რა ასა- კისაა მონაწილე, განსხვავებული არ არის, სწორედ ამიტომ უმცროსკლასელებს ნაკრებში მოხვედრის ნაკლები შანსი აქვთ, ძირითადად, უფროსკლასელები ახერხებენ ხოლმე სა- უკეთესო ექვსეულში შესვლას. საუკეთესო მოსწავლეების- გან დაკომპლექტებულ ექვსეული კი, შემდეგ, მიემგზავრე- ბა საერთაშორისო ოლიმპიადაზე, რომლის მასპინძელი ქვე- ყანა ყოველწლიურად იცვლება.

გოგონათა ევროპული ოლიმპიადის დაარსება

სტატისტიკურად, საუკეთესო ექვსეულში არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით, ძირითადად, ბიჭები ხვდებოდნენ. ნაკრებში ექვსიდან ერთი ან, მაქსი- მუმ, ორი გოგონა შეიძლება მოხვედრილიყო, ისიც ხუთ წე- ლინადში ერთხელ. რადგან გოგონები, რატომღაც, ასე „იჩაგრებოდნენ“, გაჩნდა იდეა, რომ მათთვის ცალკე გამარ- თულიყო საერთაშორისო მათემატიკური ოლიმპიადა. პირ- ველად მათემატიკის მოყვარულ გოგონებს გაერთიანებულ- მა სამეფომ, კემბრიჯის უნივერსიტეტმა, 2012 წელს უმას- პინძლა. რადგან, ძირითადად, ევროპის ქვეყნები მონაწილე-ობდნენ, სახელიც ამიტომ შეირჩა, როგორც ევროპულ გო- გონათა მათემატიკური ოლიმპიადა (EGMO). თუმცა, სახე- ლის მიუხედავად, არაერთმა ქვეყანამ გამოთქვა მონაწილე-ობის სურვილი, მათ შორის, ამერიკამ, იაპონიამ, ბრაზილი- ამ, ავსტრალიამ... ამიტომ, ეს ქვეყნები ოლიმპიადაში სტუ- მარი ქვეყნის სტატუსით მონაწილეობენ. ჩვენი ქვეყანა გო- გონათა ოლიმპიადას 2016 წლიდან შეუერთდა, რომლის მასპინძელი რუმინეთი იყო; შემდეგ, 2017 წელს – შვეიცა- რია, 2018 – იტალია, 2019 – უკრაინა და წელს ნიდერლან- დებში უნდა გამართულიყო.

რეალურად, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ გოგონათა მათემატი- კურ ოლიმპიადას უფრო ადრე შევერთებოდით, მაგრამ, სამ- ნუხაროდ, ინტერნეტში ინფორმაციას ამ ოლიმპიადის შესა- ხებ სწორედ ამ დროისთვის წავაწყდი და არა დაწყებისთანა- ვე. მოკლედ, 4 წლის შემდეგ აღმოვაჩინე, რომ მათემატიკის ოლიმპიადა გოგონებისთვის ცალკე ტარდებოდა. მეც ძველი ოლიმპიადის ვარ და მუდმივად ვეძებ და ვათვალიერებ, რა ხდება ამ მიმართულებით, მაშინვე დაუუკავშირდი თსუ-ს პროფესორს, გიორგი ჭელიძეს, რომელიც საქართველოს ნაკრების ლიდერია IMO ოლიმპიადაზე. მან თანხმობა მომცა, რომ ამ საქმისთვის მიმხედა, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადავუხდი მადლობას. მეც დღემდე ენთუზი- აზმით მივყვები ქართველი გოგონების ოლიმპიურ გზას, რო- მელიც, როგორც ხედავთ, არც თუ ურიგოა.

ვირტუალური ოლიმპიადა

როგორც ვთხარით, 2020 წლის გოგონათა ევროპული ოლიმპიადა ნიდერლანდების გაერთიანებულ სამეფოში უნ- და ჩატარებულიყო, მაგრამ, პანდემიის გამო, ფორმატი შე- იცვალა – ოლიმპიადა ვირტუალურად გაიმართა. ფინალამ- დე, ბუნებრივია, შესარჩევი ეტაპები ჩავატარეთ. გოგონათა ნაკრები, IMO ოლიმპიადისგან განსხვავებით, ქვეყანას ოთხი მოსწავლით და ორი მწვრთნელით წარადგენს.

რაც შეეხება შესარჩევ ეტაპს, დაინტერესებულ მოსწავ- ლეებს ორი საკანდიდატო წერა უტარდებოდა, შედეგად რვა საუკეთესო მოსწავლე შეირჩევა. შემდეგ, მათ შორის, კიდევ ორი დამატებითი წერით, საუკეთესო ნაკრები, ანუ ოთხეული ირჩევა. როგორც წესი, ნაკრებში, ძირითადად, მათემატიკურ პროფილის მქონე სკოლების მოსწავლეები ხვდებიან.

აქვე მინდა გითხრა, რომ თავიდან ინტერესი არც ისე დიდი იყო, განსაკუთრებით პირველ წელს, როცა ჩავერთეთ და ეს შედეგებზეც აისახა – ოთხიდან ერთმა ვერცხლი და ორმა ბრინჯაო აიღო, მაგრამ არ გვექონდა კარგი ქულები. ამის შემდეგ, ყოველწლიურად, კონკურენციაც იზრდება და შედეგების მაჩვენებლებიც. შარშან, უკრაინაში გამართულ ოლიმპიადაზე, ჩვენ ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი ავიღეთ. წლებანდელი ოლიმპიადა გამორჩეული იყო იმით, რომ ოთხივე მონაწილემ შეძლო მედლების მიღება, მათგან ოქროს მედალი – ისევ ანა ონოფრიშვილი, შარშანდელმა ოქროს მედლის მფლობელმა, თამარ კორკოტაშვილმა კი, შარშანაც და წელსაც – ვერცხლის მედალი, ხოლო დანარჩენ- მა ორმა გოგონამ – ბრინჯაო, მათგან მარია ივარდავამ, შარშან, ვერცხლი აიღო. მარია ცხველიანი წელს პირველად მონაწილეობდა ოლიმპიადაში. როგორც ხედავთ, საკმაოდ წარმატებული წელი გვექონდა და გეტყვით იმასაც, რომ წელ- საც და შარშანაც ნაკრების ოთხივე წევრი კომაროვის სკო- ლის მოსწავლეა.

ოპიქტურად დისტანცირება

60 წელზე მეტია, საერთაშორისო ოლიმპიადები ტარდება, მაგრამ მის ისტორიაში წელს პირველად ჩატარდა ვირტუა- ლურ რეჟიმში. ნაკრების მწვრთნელებს წინასწარ გადმოგ- ვებზავნა ამოცანები, რომლებიც ვთარგმნეთ და, დათქმულ დროს,

მივანოდეთ მოსწავლეებს – 16-17 აპრილს უნდა დაენ- რათ, თითო დღეს – სამ-სამი ამოცანა, ამოსახსნელად გან- კუთვნილი იყო 4,5 საათი. ბუნებრივია, ასე მოხდა ყველა მო- ნაწილე ქვეყანაში – ბავშვებმა დაწერეს, შემდეგ კი ნამუშე- ვარი ფურცლები დაასკანერეს და გადმოგვიგზავნეს მწვრთნელებს.

თავისთავად, ეს პროცესი საინტერესო იყო ობიექტურო- ბის დაცვის თვალსაზრისითაც. ყველას ძალიან აინტერესებ- და რა მოხდებოდა? პირველ რიგში, გეტყვით იმას, რომ ამ რანგის ოლიმპიადაზე ამოცანები „ჩაკეტილია“ და მათ ვერ- სად ვერავინ ნახავს. ეს ფაქტი ერთ-ერთი გაარანტია იმისა, რომ ობიექტურობის ხარისხი მაღალია. ამის გარდა, რომ გა- დავხედოთ შედეგებს (ბუნებრივია, მე ჩვენი ნაკრების შედე- გებზე ვსაუბრობ), წელს, ჩვენმა ოთხეულმა 8 ქულით ნაკლე- ბი მიიღო, წინა წელთან შედარებით და თითქმის ყველა ქვეყ- ნის ნაკრებმა უფრო დაბალი ქულები მიიღო, ვიდრე შარშან ან შარშანწინ. რეალურად, არაობიექტურობის შემთხვევაში, ცხადია, ქულები კი არ მოიკლებდა, არამედ გაიზრდებოდა. შედარებისთვის გეტყვით, მაგალითად, შარშან, კიევში ოქ- როს მედალი რომ მიეღო მონაწილეს, ამისთვის უნდა დაეგ- როვებინა, მინიმუმ, 29 ქულა. წელს ისეთი დაბალი ქულები იყო, რომ 26 ქულაც კი საკმარისი აღმოჩნდა ოქროსთვის. შარშან, ვერცხლის მედლის მოსაპოვებლად, 21 ქულა იყო სა- ჭირო, წელს 18 ქულა აღმოჩნდა საკმარისი. მოკლედ, ბევრი

რამ მეტყველებს ობიექტურობაზე. საერთო ჯამში, შეიძლე- ბა ითქვას, რომ 90% მაინც, თუ მეტი არა, ობიექტურობა და- ცუდია. და ერთი დეტალიც, შარშან, ჩვენმა საუკეთესო მო- ნაწილემ, 42 ქულიდან, 30 ქულა აიღო და წელსაც – 30. ერთ- ერთა მოსწავლემ, მარია ივარდავამ ვერცხლის მედალი აიღო კიევში, 21 ქულა დააგროვა და წელს – 14 ქულა. ასე რომ, აქ კითხვის ნიშნები აღარ ჩნდება.

ოლიმპიადის წესია ასეთი – საერთო მონაწილეთა ერთი მეთორმეტედი იღებს ოქროს მედალს, მაგალითად, 120 მო- ნაწილე ბავშვიდან, საუკეთესო ქულების მიხედვით, 10 მიი- ლებს ოქროს მედალს, ვერცხლის მედალს – ერთი მეექვსედი და ბრინჯაოს მედალს – ერთი მეოთხედი. ქულების საერთო რეიტინგში ჩვენი ნაკრები საკმაოდ კარგად გამოიყურება. წელს თუ 26 ქულა იყო საკმარისი ოქროსთვის, ჩვენმა მონა- წილემ 30 აიღო, ვერცხლის მედლისთვის საკმარისი 18 ქუ- ლის ნაცვლად კი, თამარ კორკოტაშვილმა 25 ქულა, ანუ ერთ- თი ქულა დააკლდა ოქროს მედლისთვის. გუნდურ ჩათვლაში, ჩვენმა ნაკრებმა, ბულგარეთთან ერთად, IX-X ადგილები გა- იყო, რაც, მონაწილე ქვეყნების რაოდენობიდან გამომდინარე, საკმაოდ კარგი მაჩვენებელია.



➔ ოლიმპიადაზე ასეთი წარმატებების მიუხედა- ვად, სამწუხაროდ, ზოგადი სურათი არც თუ სასარბი- ელოდ გამოიყურება. ამაზე მიტყველებს თუნდაც, სა- ერთაშორისო შეფასებებში ქართული მოსწავლეა- ბის დაბალი მაჩვენებლები, როგორც მათემატიკაში, ისე წიგნიერებაში. რას ფიქრობთ, რატომ გვაქვს სა- ერთაშორისო დონეზე ასეთი სავალალო შედეგები?

მთელი ჩემი ცხოვრება დაკავშირებული მაქვს მათემატი- კასთან, მეც ვარ ოლიმპიელი, 2003-2004 წლებში ვიყავი სა- ქართველოს ნაკრების წევრი. 2003 წელს ტიკიოში და 2004 წელს ათენში ბრინჯაოს მედალიც მაქვს ალბეული; ვასწავლი ქუთაისში, კერძო სკოლაში, 2006 წლიდან; ფიზიკა-მათემატი- კურ სკოლაში წრეებს ვამეცადინებ; საკვირაო სკოლაში ვას- წავლი და ამის გარდა, 2012 წლიდან, ჩართული ვარ მასწავლე- ბელთა სასერტიფიკაციო გამოცდების შეფასების ჯგუფში, უფრო კონკრეტულად, I-IV და IV-VI კლასების მასწავლებლე- ბის შეფასების ჯგუფში. აქედან გამომდინარე, კარგად ვიც- ნობ და ვხედავ რეალურ სურათს. ამიტომ სულაც არ მიკვირს ქართველი მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო შეფასე- ბებში. ბუნებრივია, ვერც ოლიმპიადის ნაკრების წარმატება, რომელიც 6 და 4 მოსწავლისგან შედგება, ვერ შექმნის ქვეყნის ზოგად საუარაოს. ამიტომ სულაც არ მიკვირს ქართველი მოს- წავლეების შედეგები საერთაშორისო შეფასებებში.

საერთოდ კი, კარგი იქნებოდა თუკი გამოცდილ პედაგო- გებს, პროფესიონალებს, ვინც ნამდვილად კარგად იცის თა- ვისი საქმე, მივანდობთ ახალბედა პედაგოგების მომზადე- ბას. კვლევები აჩვენებს, რომ ახალკურსდამთავრებულთა უმრავლესობა სასერტიფიკაციო გამოცდებზე ვერ იღებს საკმარის ქულას და ვერ დაახავს დაწესებულ პარიერს. ამი- ტომ, შეიძლება კარგი გამოსავალი ვიპოვიოთ იმით, თუ გა- მოცდილ კადრებს მივცით საშუალებას მომავალ მასწავლე- ბებს ასწავლონ და გადასცენ ის უნარ-ჩვევები, რაც კარგი მასწავლებლისთვის აუცილებელია.

დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მეტი კვალიფიციური კადრი გვეყოლება სისტემაში, მით უფრო გაუმჯობესდება ჩვენი მოსწავლეების შედეგები როგორც ადგილობრივად, ისე საერთაშორისო ასპარეზზეც.

დისტანციური სწავლება

დისტანციური სწავლება აბსოლუტურად გამჭვირვალე პროცესია

ინტერვიუ კერძო სკოლა IB მთიების დამფუძნებელ დირექტორთან, ნინო ჩიკვაძესთან



➔ მოსწავლეების თვითრეგულირების უზრუნველყოფა.
➔ ფიზიკური აქტივობების (სპორტული ტურნირები, ლაშქრობა) შეზღუდვა.

რამდენად მომზადებული უნდა იყოს მშენებელი დისტანციური სწავლება, იყენებდით თუ არა ონლაინ სწავლების მეთოდს ფორსმაჟორულ სიტუაციაში?

➔ ბოლო სამი სასწავლო წელი (2016-2017 სასწავლო წელიდან), სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, აქტიურად გამოიყენება ციფრული ტექნოლოგიები. ელექტრონული კომუნიკაცია აქტიური პროცესია მოსწავლისა და პედაგოგის (აღმზრდელ-პედაგოგის) საქმიანობაში. მუშაობა საშინაო დავალებებზე, საპრეზენტაციო თემებზე, პროექტებზე (პლატფორმა - Google Classroom). ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიებით, სადაც პედაგოგს საშუალება ეძლევა, ჩაატაროს ელექტრონული გაკვეთილი. სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება ვირტუალური ლაბორატორია, გეოგრაფია, სხვადასხვა საპრეზენტაციო და საილუსტრაციო კომპიუტერული პროგრამები, ცოდნის შეჯამების აპლიკაციები (ქვიზისთვის). აღსანიშნავია, რომ მეტორმეტეკლასელთათვის სასწავლო პროცესი არ შეწყვეტილა, ხოლო 16 მარტიდან სკოლა სრულად გადავიდა დისტანციური სწავლების რეჟიმზე.

ონლაინ რეჟიმში წარმართულ გაკვეთილებს დისტანციური სწავლების მართვის ეფექტური სისტემა სჭირდება. აიბი მთიებმა ეს გამოცდილება 7-8 წლის წინ მიიღო, როდესაც კომპანიის პარტნიორმა ევროპულმა უნივერსიტეტმა (ბარსელონის კამპუსი), სკოლის სამ წარმატებულ უფროსკლასელს, რომლებიც ევროპულ უნივერსიტეტში გეგმავდნენ უმაღლესი განათლების მიღებას, ორ საგანში დისტანციური სწავლება შესთავაზა, ამ პროცესს, ევროპულ უნივერსიტეტთან ერთად, IB მთიებიც ახორციელებდა.

სადღესოდ, IB მთიების პარტნიორმა კავკასიის უნივერსიტეტმა, სკოლის პედაგოგებისა და მოსწავლეებისთვის, ხელმისაწვდომი გახადა მსოფლიოს ელექტრონულ სამეცნიერო ბიბლიოთეკასთან წვდომა. პედაგოგებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობდნენ განათლების სფეროში არსებულ მონიწივე გამოცდილებას, რაც სრულყოფდა მათ აკადემიურ საქმიანობას და მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში მოსწავლეების ჩართულობას.

თქვენს სკოლის რამდენი მოსწავლეა ჩართული დისტანციურ სწავლებაში და რამდენი მასწავლებელი?

➔ დისტანციური სწავლების რეჟიმში ჩართულია ჩვენი სკოლის 117 პედაგოგი, 63 აღმზრდელ პედაგოგი, სკოლის 5 დირექტორი, სააღმზრდელო სამსახურის 4 ხელმძღვანელი, 1 ექიმი, 1 ფსიქოლოგი, 2 ადმინისტრატორი, ხარისხის მართვის სამსახურის 3 წარმომადგენელი, 3 - დღის რეჟიმის მართვის სამსახურის, 3 - საფინანსო განყოფილების, 2 - IT სამსახურის, 1417 მოსწავლე, შესაბამისად, ამდენივე მშობელი.

პრობლემა, რომელიც დისტანციური სწავლების პროცესში უმთავრესია და რა გზისკადავებელი ფაქტორები უნდა იყოს მასწავლებლისთვის?

➔ ფორსმაჟორული ფაქტორის განსაზღვრა საფრთხეებისა და რისკების მენეჯმენტის სტრუქტურაშიც არ არის იოლი. თუმცა, IB მთიების სტრუქტურამ და მართვის სისტემამ საშუალება მოგვცა, სწრაფი რეაგირება მოგვეხდინა და, უკვე მარტის პირველ კვირას, 4 მარტიდან, გადავდით დისტანციურ სწავლებაზე ჯერ მე-12 კლასებში, 16 მარტიდან კი, დისტანციურ სწავლებაში სკოლის ყველა კლასი ჩაერთო. პრობლემა, რომელმაც თავი იჩინა პირველ ეტაპზე, ფსიქოემოციურ სფეროს განეკუთვნება, მაგრამ მოულოდნელობის ფაქტორი დავძლიეთ და სისტემური მუშაობის დისტანცირება მოვახდინეთ.

დისტანციური სწავლების პლატფორმა. განვიხილეთ რამდენიმე შესაძლო ვარიანტი, Google classroom, Microsoft team, Zoom, Skype. არჩევანი გავაკეთეთ სკაიპზე, რომელიც უზრუნველყოფს ონლაინ ურთიერთობის უწყვეტობას, კლასის ყველა მოსწავლის ჩართვას, აქვს ხარისხიანი ვიდეოკონტაქტი, სასწავლო მასალის ყველა ფორმატის ეკრანზე გამოტანა და ატივობა შეიძლება. ასევე, იძლევა გაკვეთილის მონიტორინგის განხორციელების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეხვედრების ორგანიზაციის თუ სხვა შესაძლებლობას.

მოსწავლეების მოტივაცია. სკოლა-მოსწავლე-მშობლის თანამშრომლობის აპრობირებული მოდელების მეშვეობით და თავად მოსწავლეების თვითორგანიზაციის მაღალი ხარისხის გამო, ეს პრობლემაც გადაჭრით და დღეს მოსწავლეების აბსოლუტური უმრავლესობა ჩართულია დისტანციურ სასწავლო პროცესში. მიმდინარეობს სამოტივაციო აქტივობების და შემოქმედებითი პროექტების ჩართვა დისტანციურ სწავლებაში. ფორსმაჟორულ მდგომარეობამდე, მოსწავლეები დაგეგმარებისა და დროის მენეჯმენტის საფუძვლებს სწავლობდნენ, რაც ნაწილობრივ მაინც ეხმარება მათ ამ ვი-

თარებაში.

სასწავლო რესურსებზე წვდომა. პირველ ეტაპზე და ზოგჯერ ახლაც, მოსწავლეებს არ მიუწვდებოდათ ხელი სახელმძღვანელოებზე, მაგრამ უმაღლესი სკოლის ყველა საგანში მათ, ონლაინ გაკვეთილის გარდა, ეგზავნებოდათ ელექტრონული გაკვეთილები და დავალებები (Ppt, Word, Pdf და სხვა).

სტრუქტურული მართვა. სორციელდება სკაიპ კონფერენციის საშუალებით, სისტემურად.

მოსწავლის ცოდნის შეფასების ფორმები. დავენერგეთ დისტანციური ტესტირება, მოსწავლეებს ეგზავნებოდათ კონკრეტული დავალებები დროის გარკვეულ პერიოდში შესასრულებლად, შესრულებული დავალებები, გასასწორებლად და შესაფასებლად, პედაგოგებს უბრუნდებოდათ. ტესტირების პროცესის სქემა ასეთია: პედაგოგი-კლასის კოორდინატორი-მოსწავლე. ტესტირების შესრულების, შეფასებისა და მოსწავლეებისთვის ქულის გამოცხადების სისტემა განსაზღვრულია დროში.

მშობლების დამოკიდებულება დისტანციური სწავლების მიმართ. სკოლას მუდმივი კავშირი აქვს მშობლებთან, მიმდინარეობს სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციები (ხარისხის სამსახური, კლასის კოორდინატორები, დირექცია). მშობლები აქტიურად არიან ჩართული ამ პროცესში.

ზოგადად, დისტანციურ სწავლებას საზოგადოების ნაწილი სპატივს უხდის, რამდენად მოგწონთ თქვენ ეს მეთოდი, რა მიზანმიმართულ სწავლების დადებით/უარყოფით მხარედ და ცოდნა, რომელსაც მოსწავლეები ინტერნეტ გავრცელებით იძლევიან, არის თუ არა ადამიანთა ურთიერთობის მნიშვნელოვანი ცოდნის?

➔ დისტანციურ სწავლებას ბევრი დადებითი მხარე აქვს: პირველ რიგში, ეს არის აბსოლუტურად გამჭვირვალე პროცესი. ახლა მშობელი უკეთ ხედავს სკოლის თითოეული თანამშრომლის შრომას და საკუთარი შედეგების შესაძლებლობებს. ამას ისინი ღიად აფიქსირებენ იმ გამოკითხვებში, რომელიც ჩვენ უკვე ორჯერ ჩავატარეთ დამკვეთის კმაყოფილების ინდექსის დადგენის მიზნით.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ დისტანციური სწავლების პროცესში მოსწავლე უფრო მეტად მოქნილია სივრცეში, რადგან იმ შემთხვევაში, თუ ის, გარკვეული მიზეზის გამო, ვერ ესწრება ამა თუ იმ გაკვეთილს, მას, გაკვეთილის დასრულებისთანავე, ეგზავნება სრული მასალა, რაც იმის საშუალებას აძლევს, რომ გაკვეთილი დამოუკიდებლად მოისმინოს.

საზოგადოების ნაწილის დამოკიდებულება გასაგებია. ყოველი სიახლე, რომელიც დროის მცირე მონაკვეთში ინერგება, არ არის იოლად მისაღები (მე-19 საუკუნის დასაწყისის ინდუსტრიულ ინვლაციის „ლუდიტები“ დაუნდობლად ებრძოდნენ ინდუსტრიული რევოლუციის სიახლეებს, ორთქმავალს „საშიშნელ გველს“ უწოდებდნენ, აზიანებდნენ დაზა-დანადგარებსა და ამტკიცებდნენ, რომ ახალი ტექნოლოგიები მასობრივ უმუშევრობას გამოიწვია). დღესაც შეხვედრით ადამიანებს, რომლებსაც მიჩნიათ, რომ პირადობის ელექტრონული მონობა, ციფრული ტექნოლოგიები მანვე გამოგონებები.

დისტანციური სწავლების დადებითი მხარეებია:

- ➔ ყველა მოსწავლემდე მრავალფეროვანი და მრავალდარგობრივი აკადემიური ინფორმაციის მიწოდება, სწრაფი წვდომა საგანმანათლებლო სიახლეებზე.
- ➔ თანამედროვე ტექნოლოგიების გაცნობა და გამოყენება.
- ➔ დისტანციური კონტაქტები, რომელიც არ ბრკოლდება გეოგრაფიული მდებარეობით.
- ➔ მშობლის პირდაპირი მონაწილეობა სასწავლო და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებში.
- ➔ თანამედროვე სწავლა-სწავლების პროცესებში აკადემიური პერსონალის სწრაფი ადაპტაცია.
- ➔ არასტანდარტულ სოციალურ გარემოში მანევრირების და შრომის კულტურის სწავლა.
- ➔ ცოცხალი სოციალური და აკადემიური ურთიერთმოქმედების დაფასება.
- ➔ სასკოლო საზოგადოების ყველა ასაკობრივი ჯგუფების მიერ ახალი ტექნოლოგიებისა და საინფორმაციო საშუალების გამოყენება.

დისტანციური სწავლების უარყოფითი მხარეებია:

- ➔ ფსიქოემოციური დისკომფორტი (აკადემიური პერსონალისა და მოსწავლეების).
- ➔ სოციალური ურთიერთობების დისტანცირება და მინიმალური ადამიანი სოციალური არსება.
- ➔ ინტერნეტი არსებულ საინფორმაციო ქსელებში სწორი/სანდო/აკადემიური ინფორმაციის სწრაფად მიღება, დამუშავება და გადაცემა.
- ➔ მოსწავლის ადეკვატური და ობიექტური გამოკითხვა (გამოცდები).

დისტანციური სწავლების გარდა, თუ იყენებთ ინდივიდუალურ, თქვენს სკოლაზე მორგებულ დამატებით მეთოდებს?

➔ მინდა, დიდი სიამაყით განვაცხადო, რომ IB მთიების სააღმზრდელო სამსახურს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებზე მორგებული პროგრამების დისტანციურ რეჟიმში განხორციელების შესაძლებლობა მიეცა. ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად უნიკალური მიდგომები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის ფიზიკური და ემოციური განვითარებისაკენ, რაშიც აქტიურად არის ჩართული IB მთიების როგორც სპორტისა და არტის კათედრები, ასევე ფსიქოლოგის სამსახური. გარდა ამისა, ჩვენ აქტიურად ვთანამშრომლობთ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან, უმაღლეს სასწავლებლებსა და საგანმანათლებლო-შემეცნიერებით ორგანიზაციებთან, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლის ზოგად განათლებასა და შემოქმედებით თვითგანტვირთვას.

მინდა ასევე აღვნიშნო, ჩვენი სკოლის ფეისბუქგვერდი ეთმობა, კვირის მანძილზე, საუკეთესო ნამუშევრებისა და საინტერესო ინიციატივების გამოფენას, რაც, გარკვეულწილად, ამაღლებს როგორც მოსწავლის, ისე თანამშრომლისა და მშობლის მოტივაციას.

ასევე გვაქვს იუთუბ არხი, სადაც განთავსებულია ჩვენი გაკვეთილები და სხვადასხვა აქტივობები, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის.

რამდენად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა ამ პროცესებში?

➔ IB მთიების მშობელთა და სკოლის თანამშრომელთა ჩართულობა სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში მჭიდრო და ეფექტურია. სკოლას დამკვეთთან ურთიერთობის მრავალფეროვანი სისტემა აქვს.

თანამშრომლობა თვალნათელი გახდა დისტანციური სწავლების დროს, როდესაც სკოლამ და მშობელმა თანაბრად გაინაწილეს პასუხისმგებლობა მოსწავლის სწავლების პროცესში. დისტანციური სწავლების მაღალი ხარისხი, ერთი მხრივ, მშობელთა აქტიურმა ჩართულობამ განაპირობა.

სოციალურ ქსელში მშობლები აქტიურად განიხილავენ სწავლის საფასურის გადახდის საკითხს. ისინი გადასახადზე შეღავათს მოითხოვენ - 20, 30, 40 და 50%-იან ფასდაკლებასაც კი. ამგონ, რომ კერძო სკოლების ნაწილი დათმობაზე წავიდა და სწავლის საფასური შეამცირა. თქვენს სკოლის შემთხვევაში როგორ არის, აპირებთ შეღავათზე წასვლას?

➔ როდესაც სწავლების საფასურის დაკლებაზე საუბარი, მე მგონი პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა გაეთვალისწინოთ სკოლის ამ რეჟიმში მუშაობის რამდენიმე ასპექტი.

დისტანციური სწავლების ორგანიზება და განხორციელება აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების სრულ მობილიზებასა და, ფაქტობრივად, 24-საათიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლას გულისხმობს და ბევრად უფრო რთულია ვიდრე რეგულარული სასწავლო პროცესი. სწავლის საფასურის შემცირება ნეგატიურად აისახება სახელფასო პოლიტიკაზე და აირეკლება დისტანციური სწავლების ხარისხზე.

მინდა აღვნიშნო, რომ IB მთიების თითოეულ თანამშრომელს სრულად უნაზღაურდება განუყოფელი შრომა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, IB მთიების დამფუძნებლებმა მიიღეს გადაწყვეტილება, პირველ-მეექვსე კლასებში, სწავლების საფასური 20%-ით (კვების თანხა) შემცირებულიყო.

დაბოლოს, მინდა სიამაყით აღვნიშნო IB მთიების მმართველი გუნდის პროფესიონალიზმი და დაუღალავი შრომა - 24-საათიან რეჟიმში მუშაობენ, რათა IB მთიებში დისტანციური სწავლების ხარისხი იყოს მაღალი, ეფექტური და ხელმისაწვდომი როგორც პედაგოგისა და აღმზრდელ-პედაგოგისთვის, ასევე ყოველი მოსწავლისა და მშობლისთვის.

თვალსაზრისი

მოვიხმაროთ მინიმალური იმისათვის, რომ არ დავკარგოთ მაქსიმუმი

რაზე დაგვაფიქრა კოვიდ-19-მა ადამიანები, რა მთავარი გამოწვევების წინაშე დააყენა ახალმა ვირუსმა მსოფლიო და რას შეცვლის ის სამყაროში, მათ შორის საქართველოში? – გვი-საუბრება ხელოვნების სასახლის დირექტორი, ისტორიკოსი გიორგი კალანდია.

უკვე დროა, ამაზე ხმამაღლა ავლაპარაკეთ! დიას, უკვე ყველანი ვხდებით, რომ სამყარო, და მათ შორის საქართველოც, ისეთი ველარ იქნება, როგორც მანამდე იყო! ვერ ან არ უნდა იყოს უაზროდ აჩქარებული, გარემოსადმი აგრესიული და ისეთი არაფრის მომცემ პრიორიტეტებზე ორიენტირებული, როგორც პანდემიამდე იყო! ამ საერთო საკაცობრიო უამიანობამ მთელ პლანეტას, და მათ შორის ჩვენც, დაგვანახა, რომ უნდა დავუბრუნდეთ სოფელს, მინის დამუშავებას, უფრო ღმობიერად უნდა მოვექცეთ ბუნებას, მოვიხმაროთ მინიმალური, იმი-სათვის რომ არ დავკარგოთ მაქსიმუმი. თურმე შეგვიძლია, ვიცხოვროთ მშვიდ და უხმაურო ქალაქში, სადაც ჰაერი სუფთაა, დილა კი ჩიტების ჭიკჭიკით იწყება და არა მანქანების ზათ-

ქით! უნდა მივხედოთ, რომ ჩვენს ჩაცმას, ჭმას, გართობას, ფუ-ფუნებას არ უნდა შევნიროთ ყველაფერი ცოცხალი, რაც ჩვენ გარშემოა, თუ ჩვენს კარგ სახლებს, მანქანებსა და ბრენდებს ყველაზე ღირებულში, ეკოსისტემაში, გაცვლით, მაშინ მინი-მუმ 4 კედელში, მაქსიმუმ კი 4 ფიცარში გამოკეტილი ვრჩებით! ჩვენც, კაცობრიობის შეილები, უნდა მივხედოთ, რომ ყველა ჩვე-ნი მეცნიერული მიღწევა, გენიალური იდეა, არქიტექტურული შედეგები და ბრწყინვალე ხელოვნების ნიმუშები კი ფუჭია და არაფრის მომცემი, თუ ბუნების ბალანსი დაირღვა! სწორედ ამი-ტომ, გენიალური ვაჟა-ფშაველა წერდა: „ბუნება ღვთაებრივი ჰარმონიის გამოვლინებაა, ადამიანი კი ამ ჰარმონიის ნაწილი და როგორც არ უნდა იყოს მისი საამუშეთიერო ინტერესები, იგი სა-



ბოლოოდ განწირული იქნება, თუ ბუნების გრძნულ ენას არ მი-უგდებს ყურს, მის უხილავ სულიერებას არ ირწმუნებს და მის ტკივილს არ გაიზიარებს. ბუნება ოდესმე სამაგიეროს გადაუხ-დის თავის ყოვლისშემძლეობით გაამპარტავებულ ადამიანს და მარტოდმარტოს დატოვებს ცხოვრების დამშრალი მდინარის უსიცოცხლო, უხმო და უჩრდილო ნაპირზე...“ დღეს მარტონი დავრჩით, იმედია, მდინარე ჯერ კიდევ ბოლომდე არ დამშრალა“.

ინტერვიუ ვია ზავიაშვილთან

დისტანციური სწავლების ფორმატში მიმდინარე ფიზიკური აღზრდის ბაკვეთილები

პანდემიის გამო, აერო ტუ საჯარო სკოლები, ქვეყნის მასშტაბით, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდნენ. სხვა საგნებთან ერთად სპორტის ბაკვეთილებიც ახალი ფორმატით ტარდება, რაც, გუნდობრივი, მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული. რას სთავაზობს სკოლებს ხელისუფლება ამ სირთულეების დასაძლევად და რა რეკომენდაციები მისცა მათ, ამის შესა-ხებ გვისაუბრება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამი-ნისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ექსპერტი გიორგი ბებიაშვილი.

➔ დისტანციური სწავლება სკოლებში, ფიზიკური აღზრდის ნაწილშიც, ჩვეულებრივად მიმდინარეობს – შეძლებისდაგვარად, ვისაც როგორ შეუძლია, ისე მუშაობს. რაც შეეხება ჩვენ მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, სამ ნაწილად იყოფა: ფიზი-კური აქტივობები, პროექტები და ლაშქრობები.

ფიზიკური აქტივობები

იყოფა ორ ნაწილად: ონლაინ გაკვეთილები და საშინაო და-ვალება სახლის პირობებში ვარჯიშები. ვისაც საშუალება აქვს, შეუძლია, ჩაატაროს ონლაინ გაკვეთილები, ხოლო მეორე ნა-წილისთვის ჩვენი რეკომენდაცია ითვალისწინებს საშინაო და-ვალებას, რომელიც მასწავლებელმა შეიძლება მისცეს მოს-წავლეს – როგორ ივარჯიშოს სახლის პირობებში. მაგალითად – მუცლის პრესი, იატაკიდან აზიდვები, ბუქნები და სხვა, ძი-რითადად, ის მიმართულებები, რაც შეიძლება, სახლში გაკეთ-დეს. საამისოდ, კლასების მიხედვით, შექმნილი გვაქვს სტან-დარტები – პირველიდან მეთორმეტე კლასების ჩათვლით. გო-გონებში ცალკე ნორმატივებია, ბიჭებში – ცალკე. შევადგი-ნეთ კვირის კალენდარი ორშაბათიდან კვირის ჩათვლით, რო-მელიც მასწავლებლებსაც გადაუგზავნეთ და ფეისბუქზეც გვაქვს გაზიარებული. მასწავლებელს შეუძლია, ეს კალენდარი გადაუგზავნოს ბავშვებს და მისცეს მათ დავალება, ბავშ-ვებს კი შეუძლიათ, ეს დავალებები მთელი კვირის განმავლო-ბაში შეასრულონ და თან აღრიცხონ ეს აქტივობები.

ჩვენს რეკომენდაციებში, მართალია, ერთი და იგივე აქტი-ვობებია, თუმცა, მაგალითად, იგივე მუცლის პრესი სხვადას-ხვანაირია. ამიტომ, ჩვენს რჩევებში კი წერია – „მუცლის პრე-სი“, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია, ამ კომპონენტში, ყო-ველ კვირას, შეცვალოს ეს მიმართულებები და მოსწავლეს სხვა აქტივობა შესთავაზოს. აქ უკვე მასწავლებელი ერთვება და ის ცვლის ამ აქტივობებს.

რეკომენდაციებში, ასევე, შეტანილია სხვა აქტივობები, მაგალითად – ადგილზე რბენები და საოჯახო ვარჯიშებიც კი, რადგან, შეიძლება, მშობლებიც ჩაერთონ ვარჯიშში. ეს ყვე-ლაფერი პედაგოგებს ბმულბად დაუგზავნეთ და შეუძლიათ გამოიყენონ – გადაუგზავნონ ბავშვებს ან სხვა მხრივ.

ეს ფიზიკური აქტივობები განზრახულია იმისთვის, რომ ამ პირობებში ბავშვები მხოლოდ კომპიუტერზე არ იყვნენ მი-ჯაჭვულები, თუმცა ადგილზეც შეუძლიათ, ფიზიკური დატ-ვირთვებისთვის სხვა მიდგომები გამოიყენონ.

პროექტები

როგორც ვითხარით, ჩვენი რეკომენდაციების მეორე მი-მართულებაა პროექტები, რაც მოიცავს: ისევ ჯანსაღი ცხოვ-რების წესის პროპაგანდას; ჰიგიენას, რაც განსაკუთრებით აქტუალური გახდა დღევანდელ პირობებში; ქართული სპორ-

ტის ისტორიას; ოლიმპიზმის ისტორიას; ქართველი ოლიმპიე-ლები და სხვ. სულ 10-მდე თემა გვაქვს შეთავაზებული და შე-იძლება, მასწავლებელმა საშინაო დავალებადაც მისცეს თი-თოეულ თემაზე პროექტების მომზადება. აქვე გეტყვით, რომ ყველა საგანი ამ მიმართულებით მუშაობს – ბავშვების ჯგუ-ფებს პროექტულ დავალებებს აძლევენ, ეს ჯგუფები კი, მერე, ერთად მუშაობენ ინტერნეტში, ინფორმაციებს იძენენ და ამ პროექტებს აკეთებენ. ჩვენც მივეცით ასეთი თემები და თან, ყოველი მათგანის ფარგლებში (ვთქვათ, ოლიმპიზმი, ჯანსაღი ცხოვრების წესი), საჭირო ბმულები გვაქვს ჩადებული, ანუ ბავშვებსაც შეუძლიათ, მიცემული თემის ფარგლებში, თავად მოიძიონ ინფორმაცია, მაგალითად, გადავიდნენ საქართვე-ლოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ბიბლიოთეკის ბმულზე და მოიძიონ ცნობები ქართველ ოლიმპიელებზე.

ეს პროექტული მუშაობაც ორ ნაწილად იყოფა: კვირის და-სანწყობი, მასწავლებელი აძლევს კონკრეტულ თემას, კვირის ბოლოს ან მეორე კვირის დასაწყისში, შემაჯამებელი მუშაობაა – რა გააკეთეს და როგორ შეასრულეს მიცემული დავალება. თუმცა, აქაც ორ ნაწილადაა მუშაობა გაშლილი: სხვა საგნების მსგავსად, ამ პროექტების ონლაინ პრეზენტაცია და, ვითარე-ბის გასამართლებლად, ამ პრეზენტაციების განხილვა-შეფასე-ბა სწავლის განახლების შემდეგაც შესაძლებელია. მასწავლე-ბელი დღეს კი მუშაობს, მაგრამ ამ პროექტებს მოგვიანებით შე-აფასებს, როცა სწავლა განახლდება. აქ ვითვალისწინებთ იმ გა-რემოებას, რომ ან ინტერნეტი არაა ყველგან ხელმისაწვდომი, ან სხვადასხვა მიზეზით – ასაკისა თუ სხვა ობიექტური პირობე-ბის გამო, მასწავლებელი ვერ მუშაობს ინტერნეტში. ამიტომ თუ ონლაინ ვერ ახერხებს ამ აქტივობების განხორციელებას, შეუძლია, სწავლის განახლების შემდეგ, მოანყოს პროექტების განხილვა. პლუს, ამ პროექტული, ანუ თეორიული დავალებე-ბის პარალელურად, ფიზიკურ აქტივობებში მიცემული საში-ნაო დავალებებიც სრულდება, ზემოხსენებული ყოველკვირეუ-ლი კალენდარი მუშაობს. არის სკოლები და ისეთი მასწავლებ-ლები, რომლებიც ინტერნეტს კარგად იყენებენ და, ამ ფიზიკურ აქტივობების ფარგლებში, ონლაინ მუშაობენ, თუმცა, ალ-ბათ, ასეთი მასწავლებელი ბევრი არ იქნება.

პლუს, ინტერნეტი სკოლებს ვთავაზობთ თემებსა და ვიქ-ტორინას. მაგალითად, კვირის დასაწყისში, სკოლებს ვთავა-ზობთ თემას, ვთქვათ, „ქართველი ოლიმპიელები“, მასწავლებ-ლებს კი შეუძლიათ, ამავე თემაზე, მოსწავლეებს მისცენ საში-ნაო დავალება, ხუშთაბათს კი შემაჯამებელი ვიქტორინა იქნე-ბა. ამ ვიქტორინას მე ვმართავ და ბავშვების დიდ ინტერესს იწ-ვევს, ბევრი მოსწავლე ერთვება. თან მასწავლებლებს ვეუბნე-ბი, თუ აქვე ტექნოლოგიებთან წვდომა, შეუძლიათ, მსგავსი ვიქტორინები თავადაც გააკეთონ თავიანთ კლასში, ხოლო თუ არ შეუძლიათ, ინტერნეტით ვანვდით გამზადებულს.



ლაშქრობები

სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების მესამე აქ-ტივობაა ლაშქრობების თემა, რომელიც ასევე შევთავაზებთ სკო-ლებს და ელექტორული ვერსიაც ავტორიტეტი ჩვენს გვერდზე. ეს ითვალისწინებს თეორიულ მეცადინეობას ლაშქრობებისთ-ვის მოსამზადებლად: როგორი ტანსაცმელი ან ფეხსაცმელი უნ-და ჩაიცვან ამ დროს, ბარგის ჩალაგება, გადაადგილება და ა.შ., რადგან ჩემს პრაქტიკაში მქონდა შემთხვევები, როცა მოვანყ-ვეთ ლაშქრობა და ზოგიერთი მასწავლებელი მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით მოვიდა, ზოგმა ბავშვმა კი, შუა ლაშქრობისას, გა-ზიანი სასმელი ამოიღო და სხვა... ლაშქრობებისთვის მოსამზა-დებლად ინფორმაციის მიღება, ჩვენი გვერდიდან, შეუძლიათ მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც. ეს სხვა აქტივობების პა-რალელურად ხდება და შეიძლება, მასწავლებელმა 1-2 კვირა დასარჯოს ამ თემაზე მუშაობაში, ლაშქრობა კი, პრაქტიკულად, მოგვიანებით განახორციელოს, როცა სკოლებში ჩვეულებრი-ვად აღდგება სწავლა, თუმცა თეორიულად მომზადება აქედან-ვე შეუძლიათ. ლაშქრობა ბევრისთვის მწვადის შენვასთან და ქეიფთან ასოცირდება, რასაც ექსცესებიც ახლავს თან, ჩვენ კი უფრო საგანმანათლებლო კუთხით შევთავაზებთ ეს თემა.

ინფორმაციის გაცვლა

რაც შეეხება ინფორმაციის გაცვლას და ინფორმაციულო-ბას, ამ დღეებშიც გვექონდა ჩართვა ახალციხის რესურსცენ-ტრთან, სადაც აქტიური ხელმძღვანელი ჰყავთ – ხათუნა ხმალაძე. მისი ინიციატივით მოენყო ეს ონლაინ შეხვედრაც, რომელშიც იმ რესურსცენტრის შშ სკოლის დირექტორი და მასწავლებლები ჰყავდა მონაწილე. მათ პირდაპირ რეჟიმში ავუხსენი ჩვენი რეკომენდაციების არსი, რადგან ერთია წე-რილობით გაცემული დავალებები თუ მითითებები და სხვაა, როცა უშუალოდ ესაუბრები და უხსნი. ზოგი რეკომენდაცი-ებს სხვანაირად იგებს, ზოგან დირექტორი და მასწავლებე-ლი ხსნიან განსხვავებულად, რაც გარკვეულ პრობლემებს იწვევს, ამიტომ უშუალო კომუნიკაცია მაინც საჭიროა. იქაც, მასწავლებლები და დირექტორები ერთად მისმენდნენ და სულ სხვანაირად შეხედეს ამ რეკომენდაციებს. მათ უშუა-ლოდ აუუხსენი, რას გულისხმობს ეს დისტანციური მუშაობა და რომ მთავარი არ არის ონლაინ რეჟიმში გაკვეთილის ჩა-ტარება. მე ორი ძმისშვილი მყავს სკოლის მოსწავლე და ვუ-ყურებ ამ გაკვეთილებს, მაგრამ სპორტი ცოტა სხვა თემაა. შეიძლება, იქ ყველაფერი ისე ვერ წავიდე – დანებობით თუ ნამოყვანებ ბავშვები, ზედა კლასებში ასე მუშაობა შეიძლება არ გამოვიდეს. ამიტომ შევთავაზებთ სკოლებს ასეთ მრავალ-მხრივი მიმართულებებს.

COVID-19 და მსოფლიო

ოტფრიდ ჰიოფე: „რას შეეხება ბედნიერებას, ამაში მთავრობები არ არიან კომპეტენტური“



ფილოსოფოსი ოტფრიდ ჰიოფე საუბრობს, როგორ არის კრიზისის პერიოდში, რა ამოცანები უნდა გადაჭრას სახელმწიფომ და იმათი გადაწყვეტილების უსუსურობაზე, ვინაობა ვირუსის თავის ნებაზე მიშვება სურს.

✔ ბატონო პროფესორ ჰიოფე, როგორ არის კრიზისის პერიოდში, ცოტა რამ იმის ფილოსოფოსებისა. ამავედროულად, თქვენ ერთ-ერთი იმ მთავარი ბრძანებით, ვინაც სწორად მორალზე, ორმხრივ ვალდებულებებსა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი (სიკვდილ-სიცოცხლის) გადაწყვეტილებების შესახებ გეგმავთ სიტყვა. რატომ დღემდე თქვენი კომპეტენტური?

⇒ მართალია, ჩვენი ფილოსოფოსები, არ ვაცხადებთ იმის პრეტენზიას, რომ დღევანდელ ვითარებაში მიზანშეწონილად ვუპასუხებთ ვირუსის საშიშროების დიქტატურას, თუმცა, მართალია, სიტყვა ჩვენც გვეთქმის, რადგან პასუხისმგებლობის მქონე პოლიტიკოსები, თავიანთი გადაწყვეტილებების დროს, მხოლოდ ვირუსოლოგების, ეკონომისტებისა და სახელმწიფო მმართველების კომპეტენციას არ უნდა ეყრდნობოდნენ. თუ გავიხსენებთ პოლიტიკური ფილოსოფიის, მორალის ფილოსოფიისა და გამოყენებითი ეთიკის მრავალრიცხოვან პროფესორთა შეხედულებებს, მათი ცნებებისა და არგუმენტების მდიდარი ისტორიის საფუძველზე, ცხადია ხდება, რომ ფილოსოფიას აქვს საკმარისი გარემოებები, რომ უნივერსიტეტებში, ახალგაზრდა დოცენტებს შორის, ამ აქტუალურ საკითხზე ცოტა თუ გამოთქვამს საკუთარ პოზიციას.

ოტფრიდ ჰიოფე:
„ჯოგური იმუნითატი“ დაჩქარება
ჰუმანურობის ღალატი იძნეობდა.

✔ ბევრი ადამიანი ამბობს: სულერთია, ადამიანები მაინც კვდებიან, ამიტომ, ეს თემა დროულად მოვიტოვოთ უკან და ადამიანების უმრავლესობისთვის „ჯოგური იმუნითატი“ გარკვეული სახე შეგვექმნათ. არის კი ეს, მორალური კუთხით თუ შეხედვით, დასაძრავი?

⇒ ვირუსის თავის ნებაზე მიშვება ნებაყოფლობითი უსუსურობის ტოლფასი იქნებოდა, ანუ თვითნაპასუხისმგებელი და ინტელიგენტი ადამიანისთვის ყოველად შეუფერებელი რამ. უფრო მძაფრად შეიძლება გვეთქვას, რომ ეს ჩვენი ადამიანური ბუნებისა და ჰუმანურობის ღალატი.

✔ ამის დადასტურებელი შემთხვევები მდგომარეობს: იმის ნაცვლად, რომ მთელ ქვეყანაში მკაცრი ზომები იქნეს მიღებული – მასიური შიშისგან, ოჯახური ტრაგედიები მაშინაც წარმოიქმნება, როდესაც ცხოვრების პარტნიორები, მშობლები და, სამწუხაროდ, ბავშვებიც იღუპებიან, ნათესავები კი ფიქრობდნენ, რომ ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ამის საფუძველზე, შეიძლება წარმოიშვას დიდი მღელვარება, საიდანაც, თავის მხრივ, შეიძლება განვითარდეს ძალმომრეობა და ეს ყველაფერი არც სიკვდილიანობას გამოიწვევს და არც ეკონომიკურ ზიანს.

კორონა კრიზისი:
ადამიანთა განიცხადება არც ერთ
შემთხვევაში არაა ნებადართული.

✔ თუ კონკრეტულ ფილოსოფიურ პოზიციებს გადავხედავთ, მაგალითად ე.წ. უტილიტარები ასე ამბობენ: გუდმივად ისე უნდა იმოქმედო, რომ, რაც შეიძლება დიდი რაოდენობის ადამიანმა მიიღწიოს, რაც შეიძ-

ლება დიდ ბედნიერებას. მომხდება ჩვენი მთავრობა ახლა ამ პრინციპით?

⇒ მთავრობები, ბედნიერების საკითხში კომპეტენტურები არ არიან, თუკი ამის გაკეთებას შეეცდებიან, უფრო მეტად ტოტალიტარული გახდებიან, ამით კი, თავიანთ მოქალაქეებს უბედურებს გახდიან; თუკი პოლიტიკოსს სურს, რომ უტილიტარიზმს გაჰყვეს, მაშინ ეს, ალბათ, ნეგატიური უტილიტარიზმი უნდა იყოს, რომელსაც შეუძლია ბევრი დარდისა და უბედურების თავიდან აცილება. მაგრამ, მაშინ მუდმივად ისმის კითხვა სამართლიანობის შესახებ, რომელიც უტილიტარიზმმა დღევანდლამდე დაბეჯითებით ვერ გადაჭრა. სამართლიანობის საფუძველიდან გამომდინარე, დემოკრატიული სამართლებრივი სახელმწიფოების კონსტიტუციების მიხედვით და, ერთმნიშვნელოვნად, ჩვენი ძირითადი კანონის მიხედვით, ითვლება, რომ პირველ და ბოლო ადგილზე დგას ცალკეული, მაგრამ არა განცალკევებული ადამიანი, თავისი ხელშეუხებელი ღირსებით, გაუსხვიებელი და ხელშეუხებელი უფლებებით. ამ პრინციპიდან გამომდინარე, კანტის მიხედვით რომ ვთქვათ, არავინ შეიძლება იყოს საშუალება, ვინმეს მიერ რაიმე მიზნის განხორციელებისათვის.

✔ უტილიტარისტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ არსებობს ცხოვრების საზღვარი სიამოვნებადან გამომდინარეობს. ისინი ამბობენ: იმას, რასაც ცხოვრებას მივუძღვით, მხოლოდ კითხვაა, თუ რამდენად კარგად არის ინდივიდში. როგორ შეიძლება ეს მოსაზრება თანამედროვე გამომწვევას მოვარგოთ?

⇒ ეს მოსაზრება მხოლოდ ჰედონისტურ უტილიტარიზმს თუ შეესაბამება. მხოლოდ მისთვის არის მნიშვნელოვანი ადამიანური საჭიროებებისა და ინტერესების განხორციელება, ანუ პიროვნული კეთილდღეობა, როგორც უმაღლესი ღირებულება. საბედნიეროდ, არსებობს თამაშის სხვა წესები, რომელთა მიხედვითაც, უმაღლესი ღირებულება საზოგადოებრივი აღიარება, ან შემეცნება, ან სხვადასხვა შეხედულებების კავშირია. მხოლოდ მაშინ, თუ უტილიტარიზმს ჰედონიზმზე და ამას, თავის მხრივ, ნეგატიურ ჰედონიზმზე ვაფუძნებთ, რაც ადამიანური ნუხილისა და უბედურების თავიდან აცილებას გულისხმობს, მხოლოდ ამ შემთხვევაში, შეიძლება ეს პოზიცია ამჟამინდელი სიტუაციისთვის მიგვესადაგებინა, მაგრამ მაინც რჩება ორი პრობლემა: პირველი – ადამიანი, რომლისთვისაც საკუთარი კეთილდღეობა უმნიშვნელოვანესია და რატომ შეიძლება ან უნდა შეიმციროს ის მოყვასისთვის? ამაში კიდევ ერთი ფუნდამენტური პრობლემაა: როგორ გადაიტანს საკუთარი კეთილდღეობისკენ მიმართული ჰედონიზმი, ალტრუიზმის გადაჭარბებას, რადგან უტილიტარისტული პრინციპი უდიდესი ბედნიერების უდიდეს რაოდენობას, მაქსიმალურ კოლექტიურ კეთილდღეობას მოითხოვს? არც ჰედონისტურ მიმართულების მოქალაქეები მისცემენ უფლებას პოლიტიკოსებს, რომ ისინი კოლექტიური ღირსების ჩამოფასების ინსტრუმენტებად გამოიყენონ და არც იმას დაუშვებენ, რაც მეორე პრობლემაა, რომ ადამიანის ღირსებისა და ადამიანის უფლებების პრინციპებზე არ ჰქონდეთ წვდომა.

✔ როგორ შეაფასებდა ისეთი მორალის ფილოსოფოსი, როგორც იმანუელ კანტი, კრიზისს, როდესაც ზომიერად ამბობს: ჩვენ შევძლებთ მსოფლიო პაციენტების სიცოცხლე ვიმსჯელებოთ, რადგან, მთლიანობაში, ეს შეიძლება, საზოგადოებას წააფხვას.

⇒ თავისი აკრძალვით, რომ ადამიანმა მოყვასი არ განიხილოს, როგორც ინსტრუმენტი, კანტი ცალსახა ვეტოს დაადებდა: ეს არც ერთ შემთხვევაში არ იქნებოდა ნებადართული!

✔ შეუძლიათ კი ფილოსოფოსებს, სავითოდ, კლასიკური დიდიების აღმოფხვრა? ერთი მაგალითი: თუ უმართლესი ტრაგედია გორაკიდან გორაკზე და შეუძლია, ხუთი ადამიანი მოკლას, შეიძლება მისი ისე წარმართვა, რომ მხოლოდ ერთი ადამიანი ემსხვერპლა?

⇒ ჭკვიანი ფილოსოფოსები ამ დილემას საერთოდ არ მიიღებდნენ, სხვა გამოსავალს მოძებნიდნენ: თუ აქვს ვინმეს იმის უნარი, რომ ტრამვას მიმართულა შეუცვალოს, რატომ არ შეიძლება მაშინ, სხვა მიმართულებით მიიბრუნო ან საშიშროების ქვეშე მყოფი პიროვნება გააფრთხილო? რეალურ სიტუაციაში იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ თუ საკმარისად საფუძვლიანად და კრეატიულად ვიაზროვნებთ, აუცილებელ ან საჭირო გამოსავალს ვიპოვებთ.

კორონა კრიზისი:
ბანსაკუთრებულად ფრთხილად
იყომთ თავისუფლებისთვის
დაწესებულ შეზღუდვებთან
მიმართებაში.

შეზღუდვებთან მიმართებაში.
✔ არის ეს დილემა იმ მდგომარეობის შესატყვისი, რაშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით?

⇒ ამ კითხვაზე ჩემი პასუხი არის, უბრალოდ, არა.

✔ აზროვნების რომელ მიმართულებას ურჩევდით NRW-ნორდრინ ვესტფალიის ექსპერტთა კომისიის წევრებს? არის ისეთი რაღაცები, რაზეც თქვენ განსაკუთრებულად გნებავთ მიუთითოთ?

⇒ რადგან კომისიის წევრებს, თავისთავად ცხადია, კანტის ცნება განმანათლებლობის შესახებ მხედველობაში აქვთ და გულთან ახლოს მიაქვთ, კერძოდ ის, რომ აქვთ გამბედაობა საკუთარ განსჯას ენდობოდნენ, ისინი არ საჭიროებენ რჩევებს ჩემი მხრიდან; და თუ მაინც საჭიროებენ, მაშინ მხოლოდ ორს: ჩვენ უნდა მივცეთ, ჩვენს თავისუფალ სახელმწიფოში, ძირითად უფლებებს კონსტიტუციურად მოთხოვნილი წონა და უნდა ვიყოთ, თავისუფლების შეზღუდვებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით ფრთხილები: მივცეთ იმედს მეტი შანსი, ვიდრე შიშებს და პანიკაში ჩავარდნას.

✔ რომელ ნიშნებს იღებთ თქვენი ნიშნების კარგად-დან ან ბანსაკუთრებულ დროში წასაკითხად?

⇒ მე, როგორც ყოველთვის, კანტს ვიღებ, რადგან ის კრძალავს ადამიანის ინსტრუმენტალიზირებას და, ამასთან, აფუძნებს ორმხრივი თავისუფლების პრინციპს; მეორედ ყოველთვის ვიხსენებ არისტოტელეს: ახლა განსაკუთრებით, მის ნააზრევს ფრონეზისის შესახებ, რაც ზნეობრივი პოლიტიკური მსჯელობის უნარს აფუძნებს. ვინც ამ ორ ფილოსოფოსს სერიოზულად განიხილავს, მას შეუძლია, ვირუსის დიქტატურის ამ მძიმე დროში, პოლიტიკური გონების მმართველობა განახორციელოს.

ფილოსოფოსი: ოტფრიდ ჰიოფე
ჟურნალისტი: მიხაელ ჰესე

<https://www.fr.de/kultur/gesellschaft/philosoph-otfried-hoeffe-ueber-coronakrise-regierungen-sind-nicht-glueck-zustaendig-13651363.html>

თარგმნა გიორგი ბერიანთი

⇒ ოტფრიდ ჰიოფე დაიბადა 1943 წელს, ქალაქ ლეობუტში, ობერშილენში; იგი ფილოსოფიის პროფესორ ემერიტუსია და პოლიტიკის ფილოსოფიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ტიუბინგენის უნივერსიტეტში. ამასთანავე, იგი ნორდრინ ვესტფალიის მიწის მინისტრ-პრეზიდენტის, არმინ ლაშეტის, კორონა კრიზისის გამო, შექმნილ ექსპერტთა კომისიის წევრია. მეცნიერული ნაშრომისთვის „ფილოსოფიის პატარა ისტორია“ იგი დაჯილდოვდა ბავარიის მიწის კარლ ფოსლერის ლიტერატურული პრემიით.

თვითიზოლაციაში აყოფი სტუდენტები უსსოთიდან

ყველაზე ხშირად მაინც თბილისზე, ჩემს ოჯახსა და მეგობრებზე ვფიქრობ

ბრიგოლ ფარაძე

მონპელიეს პოლ-ვალერის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი



როდესაც პანდემია გადავიღის, ვაპირებ უფრო მეტი დრო გავატარო ახლობელ ადამიანებთან.
დაბოლოს, ყველა ჩემი თანატოლი, ვინც მსოფლიოს სხვა-დასხვა ქვეყანაში სწავლობს, მთელი გულით მინდა გავამხნეო, ძალიან მალე დავბრუნდებით სამშობლოში!

◆ საფრანგეთში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, ERASMUS+-ის გაცვლითი პროგრამით ჩამოვედი. ვინაიდან მაგისტრატურის მეოთხე, დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტი ვარ, ძირითადად, ნაშრომზე ვმუშაობ, თუმცა, პარალელურად, რამდენიმე საგანსაც გავდივარ უნივერსიტეტში. სამწუხაროდ, საფრანგეთში შეზღუდვები ბევრად ადრე დაწესდა, ვიდრე საქართველოში, შესაბამისად, ადრევე მოგვინია ონლაინ სწავლებაზე გადასვლა. საქართველოსთან შედარება არ არის, იმდენად მკაცრად ითხოვენ კარანტინის და დისტანციის ნორმების დაცვას ყველა მოქალაქისგან.

◆ მე სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში ვარ, ვთვლი, რომ ნამდვილად გამომართლა – ჩვენს კორპუსს პატარა კერძო ბაღი აქვს, სადაც, მართალია სოციალური დისტანციის დაცვით, თუმცა, მაინც შეგვიძლია სასეირნოდ გასვლა. ვცდილობ, ფორმა და განწყობა შევინარჩუნო, ამიტომ დილაობით გავდივარ სასეირნოდ, სალამოს, ძირითადად, ვკითხულობ და ვმეცადინებ.

◆ ჩემი გადმოსახედიდან, საქართველო ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე საფრანგეთი. მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი მაქვს წამოსვლის, მაინც ვფიქრობ, ბოლომდე მივიყვანო ის საქმე, რისთვისაც მონპელიეში ჩამოვედი. მონპელიე ძალიან ინტერნაციონალური, ასე ვთქვათ, სტუდენტური ქალაქია. არასდროს დამავინწყდება ის ადამი-

ანები, რომლებიც აქ გავიცანი. ალბათ, დედამინაზე არ არსებობს სახელმწიფო, რომლის სტუდენტებიც ამ ქალაქში არ ჩამოდიან სასწავლებლად. მართალია, იანვარში ჩამოვედი და მარტში უკვე მკაცრ საკარანტინო პირობებზე მომიწია გადასვლა, ამ ორი თვის განმავლობაში, ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე – ეს მოგონებები ალბათ არასდროს დამავინწყდება...

◆ ერთადერთი, რაზეც ყველაზე მეტად მწყდება გული, ეს ზღვაა... ჩემი სახლიდან, ტრამვაით, ნახევარი საათის სავალზეა ზღვა. ისე მოხდა, რომ მუდამ გადავდებდით ხოლმე მეგობრები ზღვაზე წასვლას, ამინდიც ნამდვილად არ გვინყობდა ხელს. დიდი იმედი მაქვს, წამოსვლამდე, აუცილებლად მოვახერხებთ ერთ თბილ სალამოს სანაპიროზე პატარა კოცონის დანთებას...

◆ ყველაზე ხშირად მაინც თბილისზე, ჩემს ოჯახსა და მეგობრებზე ვფიქრობ... ნათქვამია, მედალს ყოველთვის ორი მხარე აქვსო. ვფიქრობ, თამანედროვე უამიანობაც ზუსტად ასეა... მსოფლიო პანდემიამ ძალიან ბევრი დრო მომცა საკუთარ თავზე და, ზოგადად, ცხოვრებაზე დასაფიქრებლად. ახლა უკვე ზუსტად ვიცი რა და როგორ მინდა ცხოვრებაში. ერთ რამეში ნამდვილად დაერწმუნდი, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობაზე ძვირფასი კაცობრიობას მართლაც არაფერი აბაღია.

გამოსვლია

არ დასაჯოთ „მელთაუნი“!

◆ მელთაუნი „ემოციური აფეთქება“ სენსორული გადატვირთვის შედეგად. ამ დროს, სწორი რეაგირება უზომოდ მნიშვნელოვანია.

◆ ხშირად, ჩვენ გვსურს „ცუდი“ ქცევის დასჯა. თუმცა, ბავშვის დასჯა ჭეშმარიტი მელთაუნისთვის ჰგავს ბავშვის დასჯას გულის წასვლის გამო. მსგავს შემთხვევებში, ბავშვს ესაჩიროება გაგება, მიღება და შესაძლებლობა უკან დახევის, გაქცევის, აღდგენის. ასევე უნდა გვესმოდეს, რომ სიტუაციის, იმ მომენტის მოთხოვნები აღმატება ბავშვის ამჟამინდელ შესაძლებლობებს გაუმკლავდეს მას. ჩვენ უნდა დავიხიოთ უკან და მივცეთ ბავშვს რეორგანიზების, განმუხტვის საშუალება. უზრუნველყავით უსაფრთხოება და მიმღებლობა. დანყარების შემდეგ, უნდა ვეძიოთ „რა წარმართა არასწორად“ და რა შეიძლება გაკეთდეს სხვაგვარად მომავალში, რათა თავიდან ავიცილოთ მელთაუნი. ბავშვის დასჯა, როდესაც მას დაკარგული აქვს კონტროლი საკუთარ თავზე, გამოიწვევს მხოლოდ სიბრაზეს, მტრულ დამოკიდებულებას და მღელვარებას.

◆ სასჯელი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს შეუძლია თავისი ქცევის კონტროლი, აკეთებს არჩევანს ცუდ ქმედებაზე, მიუხედავად იმისა, რომ იცის როგორ მოიქცეს ცუდისაგან. როდესაც სტრესის შედეგად გამოყოფილი ქიმიკატები აღწევენ დუღილის ზღვარს, ბავშვი იმოქმედებს ისე, რომ გაექცეს სტრესს და თავი გაითავისუფლოს სტრესის მიერ გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებებისაგან. სენსორული გადატვირთვის სიტუაციებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს ახალი სწავლების მეთოდს. ჩვენ უნდა შევამციროთ მოთხოვნები, რომლებიც იწვევენ გადატვირთვას, გამოვუმუშაოთ უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარებათ სტრესთან გამკლავებაში და ვასწავლოთ რეაგირების სხვა გზა, გადატვირთვის შემთხვევაში. ამის სწავლება არ შეიძლება მელთაუნის დროს. აღნიშნული უნდა ისწავლებოდეს მშვიდად ყოფნის დროს, პრაქტიკული საქმიანობებითა და როლური თამაშებით.

◆ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ არ დავსაჯოთ მელთაუნი. თუ ბავშვი კარგავს კონტროლს — საყვედური, დატუქსვა, ფსიქოლოგიური კონსულტაცია ან მუქარა მხოლოდ ამ-



ნინო კაპერსკის გამოცდილების გაზიარება

დაფრებს მდგომარეობას. უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ ქცევის მიღმა არსებულ „გრძობებზე“ და არა თავად ქცევაზე. გაითვალისწინეთ, რომ ის გალიზიანებულია და თქვენ უნდა უზრუნველყოთ მისი დაცვა და უსაფრთხოება. შეტევის დროს, ფოკუსირება მოახდინეთ გრძობების აღიარებაზე, ყველა მოთხოვნის, გამლიზიანების მოხსნაზე და დაეხმარეთ ბავშვს, დამშვიდებამდე, „თავი იგრძნოს დაცულად“.

◆ მნიშვნელოვანია ბავშვთან მუშაობა, რომ გაიგოთ რა იწვევს მის მელთაუნს და რა შეიძლება გაკეთდეს მისი თავიდან აცილების მიზნით. იქონიეთ ხშირი ურთიერთობა ბავშვთან იმისათვის, რომ ერთად დაადგინოთ და შეამციროთ გამოწვევი მიზეზები, აღმოაჩინოთ სტრესის ადრეული ნიშნები და ისწავლოთ გამკლავების სტრატეგიები. ბავშვმა უნდა იგრძნოს, რომ ის არის უსაფრთხო და აღიარებული ჩვენ გვერდით. უნდა გაუჩნდეს რწმენა იმისა, რომ ჩვენ მხარს დავუჭერთ მას ამ საშინელი პროცესის განმავლობაში.



არ დასაჯოთ „მელთაუნი“!

- ადამიანები შეცდომით ადანაშაულებენ ბავშვს მემოხიზობაში და მიზანმიმართულ საპირისპირო ქმედებაში.
- ჭეშმარიტი მელთაუნის დროს ბავშვი კონტროლს ვერ უწევს საკუთარ ქცევას და ის არ არის მიზანმიმართული.
- სასჯელი ამართლებს, თუ ბავშვს გარკვეულწილად შეუძლია ქცევის კონტროლი.
- როდესაც სტრესის შედეგად გამოყოფილი ქიმიკატები აღწევენ დუღილის ზღვარს, ბავშვმა უნდა იმოქმედოს იმისათვის, რომ შეამციროს სტრესის მიერ გამოყოფილი ქიმიური ნივთიერებები.
- მიზეზის ძიების, შენიშვნის მიცემის ან რჩევის მცდელობა მელთაუნის დროს ჩვეულებრივ, არაფექტურია, აქემის უნარის დარღვევის გამო.
- ბავშვს ხშირად სინანულის განცდა აქვს დამშვიდების შემდეგ.

ნინო კაპერსკი
თბილისის მე-200 საჯარო სკოლის
ინგლისური ენის მასწავლებელი

ჩვენი სკოლის ვირტუალური ეზოები იცავს ბავშვების ქრიაშულთა!

მელორ ცაქვიტაია
აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის
სამოქალაქო განათლების მასწავლებელი,
მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს „ათეულის კლუბის წევრი“



#დაჩრისასლში

ღღეს ჩვენს საზოგადოებაში სოციალური ურთიერთობის, ამ ურთიერთობის უნდა ვუპასუხოთ სწავლის, ურთიერთობის და, ზოგადად, აზროვნების სტრუქტურების გადაფასებით.

თუჩვე სკოლა ყოველთვის ახ გულისხმობს შენობებს, დეკორაციებს, კაბინეტებს და ჩიგში ჩანაწერებს. სულაც არა, ჩვენს განსწავლულ ატეხნატური ელასები თიძში, ზემში, მესინჯეში, ცაღე თემა „ტელესკოლა“.

გამონვევა მიღებულია!

სწავლის გაჩედა, ბავშვებს თავისუფალი სივრცე – სკოლის ეზო სჭიხდებათ, სადაც ურთიერთობის ახატომილური ვითარებაში შეხვედებიან. ჰოდა, შევქმენით მათთვის ვიხტუალური ეზო, სადაც ისინი ისაუბრებენ, ითამაშებენ და ურთიერთობის მთაბეჭდილებსაც გაუზიარებენ, ჩასაუბრებელია, სახიდან გაუსვლიდა. მე უჩვე ვცაღე და ახლა ჩვენი სკოლის ვიხტუალური ეზოში ისევე ბავშვების ურთიერთობა! ეს მათთვის ურთიერთობის „თავშეყის“ ადგილად იქცა – ქმნიან სხვადასხვა ვიხტუალური სივრცეებს ნიგნებზე, ფიღმებზე, ხელოვნებაზე, სპორტზე, ურთიერთობაზე, აჩიო სივრცეც ურთიერთობის. გამოუშვეს ელექტონური ურთიერთობის, სადაც ნეჩენ იმაზე, ჩაც ანეხებთ ან უხაჩიათ. ამით ბავშვებს მივეცი თეშაძლებლობა, თვითიზოლაციის პირობებში დისოციალიზაციის ურთიერთობის დაძლიონ.

ბუნებრივია, მოზაჩეებს უნდა ვასწავლოთ ჩელობასთან ადაპტაცია და მომავლის პეხსპექტივების დასახვა. ურთიერთობის, ჩიგში მათ ვიხტუალური მეხეუმებისა და ბობლიოთეების მონახელების შესაძლებლობა აქვთ, ბეჯიმა გამომცემლობამ ელექტონური ნიგნები ხეღმისანვდომი გახადა. გაჩედა ამისა, მოჯახის ფენომენი ამოტივტივდა – მშობლებს შვილებთან ურთიერთობის მეტი შესაძლებლობა მოგვეცა, ჩაც აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ.

ნე მიუცემით სასონაჩევეთას და ბავშვებსაც უსაუბრეთ პოზიტიური მოვლენებზე.

ამ ვითარებაში შეიძლება დაღებითი მხაჩეების აღმოჩენა – პეჩეში ურთიერთობის სვეღითი ნიღლი გაიზაჩედა, ცაზე ვახსევედავები გამოჩინდა, მღინაჩეები ნმინდება, იმასაც ამბობენ მოზონის შიხსაც ეშველებათ ადამიანური დამოუღებლები შეიყვანა, მეტი თანადგომა და სიყვარული იგჩინდება. მაგჩამ ეს ტემპი ჩიგმ შევიწახიუნოთ, ჩვენგან მციხეღია საჭიჩი – #დაჩრისასლში

#იქონიესამოქალაქოპასუხიღებლობა.

